ფოთის საქალაქო სასამართლო
POTI CITY COURT

№ 169 02 მაისი, 2023 წელი

ქალბატონ მირანდა თეთრაძეს
მისამართი: ქ.თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 20
(პ/ნ 01017047251)

ქალბატონო მირანდა,
სასამრთლოში 2023 წლის 25 მაისს შემოსული თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ასევე გაცნობებთ, რომ სასამართლოს კანცელარიაში სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეების მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილ სტატისტიკურ ფორმებში, დავის საგნის მიხედვით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები აღირიცხება მუხლების მიხედვით. აღნიშნულ სტატისტიკურ ფორმებში ცალკე არ აღირიცხება თქვენს მოთხოვნაში მითითებული საფუძვლით ინფორმაცია, კერძოდ: „- ვის უჩივიან (ფიზიკური საჯარო პირი, ა(ა)იპ, სსიპ, სამინისტრო და სხვა საჯარო დაწესებულებები...; - სახელმწიფოსთვის დაკისრებილი გადასახადის რაოდენობა მოსარჩელესადმი“.

შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში, თქვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მოძიება საჭიროებს დიდი ოდენობით საქმეების და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას და სისტემატიზაციას, რაც მოითხოვს განუსაზღვრელად დიდ დროს და აღემატება ჩვენს ხელთ არსებულ ნებისმიერ რესურსს.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი თ,

მზექალა ხუსკივაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ქ.ფოთი, აღმაშენებლის ქ. №3 ტ: 0 (22) 50 07 50;
3 agmashenebeli st. poti, TEL: 0 (322) 50 07 50;
www.court.ge